საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 34
17/02/2023

34-2-4-202302171607

მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი #2/4) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, ,,სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს #3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.2023 წლის 17 თებერვალს შეიქმნას მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი #2/4) განმხილველი საექსპერტო კომისია 3 (სამი) წევრის შემადგენლობით:

ა) თეიმურაზ სიხარულიძე - ანიმაციის რეჟისორი, მხატვარი;

ბ) დათო კიკნაველიძე - ანიმატორი, ანიმაციის რეჟისორი;

გ) ალექსანდრე ქათამაშვილი - ანიმატორი, ანიმაციის რეჟისორი, პროდიუსერი;

2.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3. ბრძანება ძალაშია სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ- გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE